სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/170

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2023

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბერს №0001750580 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი, სტუ-ის 2024 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. უნივერსიტეტის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

უნივერსიტეტის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო შემოსულობები დღეის მდგომარეობით შეადგენს 60 055 120 ლარს, ანუ წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6 362 985 ლარით მეტს. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტში მოსალოდნელი ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 1 736 445 ლარს, რომელიც საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტების თანხაა.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შესაბამისად განისაზღვრა 60 055 120 ლარით. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებია უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული ერთეულების მიერ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები, რომელიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის ღონისძიებების მიხედვით და გაწერილია პროგრამების სახით, რომელიც საშუალებას იძლევა დაგეგმვის

პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში.

სენატი უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია სტუდენტთა სწავლის საფასურის ბაზაზე, პრაქტიკულად არავითარი მუშაობა არ ტარდება კანონით მინიჭებული ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვაზე და ამ გზით შემოსავლების შესაძლებელ გაზრდაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევის დანერგვის შედეგების ფინანსური სარგებელი არ არის ასახული ბიუჯეტში და თვითდაფინანსების სამეცნიერო ცენტრებიდან შემოსავლებმა შეადგინა მხოლოდ 2 000 000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2023 წლის 21 დეკემბრის №0001750580 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 22 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტი საერთაშორისო გრანტების ნაშთის (1 736 445 ლარი) გათვალისწინებით:

I. **საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 60 055 120 ლარით,** მათ შორის:

1) **სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული, მიზნობრივი და ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით** 46 388 997 ლარით;
2) განისაზღვროს 46 388 997 ლარით, რაც ნაერთი ბიუჯეტის 77,3 %-ია;
3) **საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს** მიერ გამოყოფილ სახსრები -2 818 717 ლარით, რაც ნაერთი ბიუჯეტის 4,7 %-ია;
4) **პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების** პროგრამები, განისაზღვროს 48 915 ლარით, რაც ნაერთი ბიუჯეტის 0 08 %-ია;
5) სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის **„ცოდნის კარის“** ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები განისაზღვროს 13 464 ლარით, რაც ნაერთი ბიუჯეტის 0 02 %-ია;
6) **სამეცნიერო კვლევითი გრანტები განისაზღვროს 4 345 372 ლარით,** რაც ნაერთი ბიუჯეტის 7,2%-ია, მათ შორის, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან შემოსავალი 2 608 927 ლარია, რაც ნაერთი

ბიუჯეტის 4,3%-ს შეადგენს, ხოლო საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტები ნაშთის სახით არის გათვალისწინებული და განისაზღვრება 1 736 445 ლარით, რაც ნაერთი ბიუჯეტის 2,9 %-ია;

7) **კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი** 2024 წლისათვის განისაზღვრა 6 439 655 ლარით და შეადგენს ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის 10,7 %-ს (მ.შ.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან — 1 167 655 ლარი; უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო თვითფდაფინანსების ცენტრებიდან შემოსავალი — 2 500 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები — 300 000 ლარი; ს.ს. საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა — 472 000 ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები- 2 000 000 ლარი).

II. გადასახდელები შესაბამისად განისაზღვროს 60 055 120 ლარით, რომელიც პროგრამების მიხედვით შეადგენს:

1) „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება“ (პროგრამული კოდი 01 01) - 14 055 120 ლარი, რაც ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების 23,4 %-ია;
2) „უმაღლესი განათლება“ (პროგრამული კოდი 01 02) - 30 787 465 ლარი, რაც ნაერთი ბიუჯეტის 51,2 %-ია;
3) „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 03) - 213 464 ლარი, რომელიც ნაერთი ბიუჯეტის 0,4 %-ია;
4) „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04) – 7 303 187 ლარი და ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების 12,2%-ია;
5) „პროფესიული განათლების განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 05) - 1 936 677 ლარი, რაც ნაერთი ბიუჯეტის 3,2 %-ია;
6) კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 06) – 612 920 ლარი, რომელიც ნაერთი ბიუჯეტის 1,0 %-ია;
7) ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 01 07) – 5 146 287 ლარი და შეადგენს ნაერთი ბიუჯეტის 8,6%-ს.

გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განისაზღვრა:

1) „შრომის ანაზღაურება“ — 29 806 630 ლარით;
2) „საქონელი და მომსახურება“ — 19 855 243 ლარით;
3) „გრანტები“ — 848 315 ლარით;
4) „სოციალური უზრუნველყოფა“ — 35 000 ლარით;
5) „სხვა ხარჯები“ — 4 518 249 ლარით;
6) „არაფინანსური აქტივების ზრდა“ — 4 991 683 ლარით.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ასიგნებების მიმართ „შრომის ანაზღაურების“ წილი შეადგენს 49,6 %-ს; „საქონელი და მომსახურება“ – 33,1 %-ს, „გრანტები“ – 1,41%-ს; „სოციალური უზრუნველყოფა“ – 0,06 %-ს; „სხვა ხარჯები“ – 7,52 %-ს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 8,31 %-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს გაგრძელდება თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, რომელიც წლის განმავლობაში 1 188 000 ლარით არის განსაზღვრული, ასევე, შენარჩუნებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევებისა და განვითარების, დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევების, სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიებისა და პროექტების დაფინანსება, რაზეც შესაბამისად გამოყოფილია 221 000 ლარი, 50 000 ლარი და 63 464 ლარი.

2024 წელს **ინფრასტრუქტურის განვითარება** მოიცავს უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსის საძირკვლის გამაგრების სამუშაოების, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის „სასურსათო პროდუქტების გადამუშავების“ და „მეღვინეობის“ სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობასა და დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოებას და სხვადასხვა ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვას.

III. დამტკიცდეს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 60 055 120 ლარით, კერძოდ:

1) **სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული, მიზნობრივი და ვაუჩერული** დაფინანსების გათვალისწინებით 46 388 997 ლარით;
2) **საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს** მიერ გამოყოფილი დაფინანსება -2 818 717 ლარით;
3) **პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების** პროგრამები 48 915 ლარით;
4) **სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის „ცოდნის კარის“** ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები -13 464 ლარით;
5) **სამეცნიერო კვლევითი გრანტები** - 4 345 372 ლარით, მათ შორის, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები- 2 608 927 ლარით, ხოლო საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტები-1 736 445 ლარით;
6) **კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები** - 6 439 655 ლარით (მ.შ. იჯარა — 1 167 655 ლარი; სახელმეკრულებო თემებიდან და თვითფდაფინანსების ცენტრებიდან შემოსავალი-2 500 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები — 300 000 ლარი; ს.ს. საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა — 472 000 ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-2 000 000 ლარი).

IV. დამტკიცდეს სტუ-ის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები (დანართი №1):

1) „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება“ (პროგრამული კოდი 01 01) –14 055 120 ლარი;
2) „უმაღლესი განათლება“(ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02)-30 787 465 ლარი;
3) „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 03) -213 464 ლარი;
4) „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“(პროგრამული კოდი 01 04)- 7 303 187 ლარი;

5) „პროფესიული განათლების განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 05)-1 936 677 ლარი;
6) „კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 06) -612 920 ლარი;
7) „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 07) – 5 146 287 ლარი.

2. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფესორი კარლო კოპალიანი):

1) უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;
2) შეიმუშაოს უნივერსიტეტში ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროგრამა და უზრუნველყოს მისი შესრულება;
3) სტუ-ის სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად ჩამოაყალიბოს 2024 წლის ტაქტიკური გეგმა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მოიძიოს შესაბამისი დაფინანსება და 2024 წლის მარტში წაუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**